№ 53 10 მარტი, შაბათი 1866—1879 10 მარტი, შაბათი № 53

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., [illegible] ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты* „Дроэба“.

### გაზეთის ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა— — — | 5 მან. |
| სამის თვისა— — — | 3 „ |
| ერთის თვისა— — — | 1 „ |

პირველი მარტიდამ წლის დამლევამდინ 6 მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი

## ტელეგრამმები

(„დროების“ კორრესპონდენტისა)

ქუთაისი, 8 მარტს. ურიების პროცესსი ჯერ კიდევ არ გათავებულა. ბაცხარებული მოწმების კითხვაა ორივე მხრით. ისინი ჩვენებაში ირევიან და ხშირათ წინაალმდეგს ლაპარაკობენ.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ტირნოვო, 7 მარტს. მთელმა ბოლგარიის ნაციონალურმა კრებამ მიიღო იმ ადრესის რედაქცია, რომელშიაც უცხადებენ მადლობას იმპერატორს ალექსანდრე II-ს, და რომელშიაც გამოხატულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბოლგარიის ორგანიზაციას და რა ნაირ ცუდ მდგომარეობაში არის ის ეხლანდელ დროში.

პეტერბურღი, 6 მარტს. „გოლოსი“ აცნობებს, რომ იმან გამართა ხელის-მოწერა სეგედინის მცხოვრებთ მისაშველებლათ.

„მართებლობის უწყებაში“ დაბეჭდილია, რომ ელჩი დეფერინი 6 მარტს გამოეცხადა დიდ მთავარს ოლღა თეოდორეს.

### პეტერბურღის ბირჟა, 6 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 96—50 |
| მეორე— — — — — — | 96—50 |
| მესამესი — — — — | 95—50 |
| მეოთხესი — — — — | 95—75 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 94— „ |
| აღმოსავლეთის მეორე— | 93—85 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8—41 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | 96—25 |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 240— „ |
| მეორე სესხის — — — | 235—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 13/32 „ | პენსი |
| ამსტერდამი— — | 119 „ | ცენტი |
| ბერლინი— — — | 200 „ | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 247 „ | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — „ | — |

## ფელეტონი

### შენიშვნა უფ. ა—ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა: „დიმიტრი თავდადებული.“

უფ. ა—მა თავის „დიმიტრი თავდადებულის“ გარჩევაში უპოვნა ამ პოემას ისეთი ნაკლულევანება, რომლითაც „ხდება მისი მშვენიერება.“ ეს ნაკლულევანება, რეცენზენტის აზრით, გახლავსთ იმაში, რომ პოემის პირველი პირი დიმიტრი თავდადებული, ვერ იჩენს ხასიათის სიმტკიცეს, რომ ის რაღაც „უცნაური გმირია.“ დიახ, თუ ხასიათი ვერ არის ნამდვილათ, გულთ-მისნურათ გამოხატული, თუ გმირი გმირათ ვერ უდგა მკითხველს თვალ-წინ, ეს იქნება დიდი, ძრიელ დიდი შეცოდება, დიდი წაბორძიკება პოეტის მხრით, რადგან პოეტობის უპირველესი და უარესებითესი პირობაა ხასიათისა ნამდვილათ, ბუნებურათ გამოხატვა, და აქ, ამ გამოხატვაში, გამოჩნდება ხოლმე, ერთი არაკისა არ იყოს, ვინაა ნამდვილი და ვინ ცრუ პოეტი თუ პოეტმა დიდი, საშაგალითო რომ გმირის გამოხატვა დააპირა და ამის მაგიერათ გამოუვიდა „შეცოდების ღირსი“ მამაკვდავი, მამულისშვილისა და გმირის ხასიათის მაგიერ „გულ-შემატკივარი ხუცესის საქციელი,“ ეს, რაღა თქმა უნდა, ვერაფერი პოეტობაა, ეს იმას ემსგავსება, რომ თქვენმა მზარეულმა (უკაცრავათ მდაბიო შედარებისთვის) პიროვნას გამოცხობა რომ დააპიროს და სუფრაზე კი მჭადი მოგართვათ. ყველაფერს ამაობაში, რასაკვირველია, ყველა დამეთანხმება.

მაშ თუ ილ. ჭავჭავაძის გმირი ვერაფერი გმირია, ორში ერთი უნდა იყოს ან ილ. ჭ—ძე ვერაა ნამდვილი მხატვარი—პოეტი ან ამ უცნაურობას რამე ახსნა უნდა ჰქონდეს. უფ. რეცენზენტს ისევ ახსნის მოძებნა აურჩევია და ამ გაუგებარი უცნაურობის კლიტეს ჰპოვებს იმაში, რომ პოეტი ამბავს ბრმა-მეფანტურეს მოაყოლებინებს: „მეფე დიმიტრი დიახაც გმირი და დიდი კაცი გამოვიდოდა,“ ამბობს უფ. ა—„თუ თვითონ პოეტს ეამბნა მეფის თავდადება, მაშინ შეეძლო გამოეთქვა და აეხსნა ყველა, რაც დიმიტრის გულში უცნობი და მიუხვდომელია(?), მაშინ მეფის საქციელი ცხადი და გასაგები იქნებოდა ჩვენთვის, რადგანაც პოეტი თვით გმირის გულთმისანია. მაგრამ რაკი პოეტი ბრმა მეფანტურეს უთმობს სიტყვას, იძულებულია თავის გმირი დაამდაბლოს(?). მეფანტურეს, დაბალ ხალხის კაცს არ ძალუცს(?) დიმიტრის გულისთანა გმირული გული იცნოს, ეს მეფე უბრალო კაცისთვის მეტათ მიუწდომელი(!) და მაღალი ტანისაა, მისი გულჩვილობა და მამაცობა ვერა თავსდება(!) მეფანტურეს გონებაში და იმიტომაც ამის წაამბობით დიმიტრი გმირათ კი არ მოჩანს, არამედ მხდალ და გაუბედავ კაცად(!)“

უკაცრავად არ ვიყო და მე გაკვირვებული ვარ, რა ლოღიკური მოსაზრებით და რანაირათ თავსდებიან თქვენს გონებაში ამისთანა აზრები, უფ. ა-! ბოდიშს ვითხოვ, რომ ასე უცებ პირდაპირ თქვენ მოგიბრუნდით.) თქვენ სიტყვებით

# საქართველო

## დღიური

*** იმ ცეცხლზე, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით „დროების“ გუშინდელ ნომერში, აი უფრო დაწვრილებითი ამბავი: ცეცხლი გაჩნდა ოთხშაბათს, ღამის 11 საათ ნახევარზე, რიყეზე. დაიწვა მთელი კვარტალი, 300 კვადრატი საჟენი, რომელზედაც იყო გაშენებული 12 სახლი, სახერხი ფიცრულები და ყველა იქ დაწყობილი ფიცრები. ამის გარდა თივა, ქერი, რამდენიმე ფაეტონი, ექვსი ცხენი, ძროხა და სულ ყველაფერი რაც რამ გააჩნდათ ამ 12 სახლში მცხოვრებლებს შეიქნა ცეცხლის მსხვერპლათ. მადლობა ღმერთს, რომ სამი კაცის გამოწვა, რომელზედაც ჩვენ დავბეჭდეთ გუშინ შიშისაგან გაგიჟებულ კაცის ნაამბობიდამ ტყუილი შეიქმნა. მაგრამ მაგიერი, სამწუხაროთ, ერთი ბავშვი საშინლათ დამახინჯდა ცეცხლისგან, ოთხიოდე სალდათი დაიმტვრნენ და რამდენიმე სხვა კაცი. ცეცხლი გაჩნდა პესკოვსკის ქუჩაზე, ერთს სახლში, საცა ფიცრები იყო დაწყობილი და აქედამ მთელს კვარტალს მოედო. ეს სახლები, თითქმის ყველა მალაკნების იყო. ეგრეთვე ფიცრულიც და სადგომიც. ბარე 80 მოსახლეს ჰქონდა ბინა ამ შენობებში. ზოგიერთა ამ სახლებისა იყო სტრახის საზოგადოებაში შეწერილი, მაგ. პრეტინინის სახლი, რომელიც არის დაფასებული 24000 მანეთად, პუბიშკინისა—14000, პაპკოვისა—6000 მ. და სხ. ამბობენ ზარალი 200,000 მანეთამდინ ააწევსო.

კიდევ ერთხელ დაინახა თფილისის საზოგადოებამ და ქალაქის გამგეობამ თუ რა დიდი საშიშარია შუა ქალაქში, ამდენ მცხოვრებთ შუა, ფიცრებისა და სახერხავის ქონება. ამაზე იმედია ქალაქის გამგეობა იზამს ჯეროვან განკარგულებას, რადგანაც ეს პირველი შემთხვევა არ არის თფილისში. ეგრეთვე იმედია როგორც ქალაქის გამგეობა ისე თფილისის საზოგადოება შეეწევა უსახლკაროთ და ულუკმა-პუროთ დაცვენილ 80 მოსახლე თფილისის მცხოვრებლებს.

*** ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა უფ. ლევანდამ სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი შეიტანა. მის მაგიერათ უფ. სტოიანოვს ნიშნავენ.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ 4-ს და 5-ს ამ მარტს იმერეთში დიდი თოვლი მოვიდა და ხეხილები მოსძრა. ქართლშიაც მოსულა, ამბობენ 1 მარტს დიდი თოვლი და მესამე დღეს ძლივს დამდნარაო.

*** ჩვენ მოგვივიდა გორიდამ წერილი, რომელშიაც დიდს მწუხარებას აცხადებენ ნატალია გაბუნიას წასვლის გამო. ეს ნიჭიერი ქალი ჩვენმა სცენის მოყვარეებმა მოიწვიეს აქტრისად. ვისაც უნახავს როდისმე ნ. გაბუნიას ქალი სცენაზედ, დაგვეთანხმება რომ ჩვენი თეატრი ამაზე უკეთესს არჩევანს ვერ იქმოდა.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი.

საბერძნეთის ელჩმა მოითხოვა ოსმალოს მართებლობისაგან რომ დაჩქარებულიყო და მოლაპარაკება გაეთავებინა ახალ სამზღვარის გაყვანაზე საბერძნეთის და ოსმალეთის შუა. სულთანი თანახმაა დაუთმოს ბერძნებს ფარსალის ველი, მაგრამ ვოლოს და მთელ ეპირის დათმობაზე უარსა ჰყოფს; და რადგანაც სულთანმა ამასთანავე გამოაცხადა რომ ამის მეტს ბერძნებს არაფერს არ დაუთმობს, შესაძლებელია რომ საბერძნეთის და ოსმალეთის შორის განხეთქილება მოხდეს. ამ ამბავმა აალელვა საბერძნეთი. ბერძნების გაზეთები ამბობენ, რომ ოსმალეთის მხრით ეს ბერლინის კონგრესის წესების დარ-

---

ერთი იმაში, რომ ხედავთ უცნაურობას გაუგებრობას იქ, სადაც არაფერია არც უცნობი და არც გაუგებარი, მეორეთ თავის უცნაურს ახსნაშიაც. ამ პოემას კარგი, რიგიანი გარჩევა ეკადრება, მაგრამ საუბედუროთ „დროება“ იაეთი პატარა გაზეთია, რომ ჩემი სიტყვა მოკლე უნდა იყოს: მე ვეცდები ოღონდ თქვენი აზრის დარღვევას. თქვენ ამბობთ დიმიტრი მეფის „გონებაში მხოლოდ ერთი აზრია—მამულის დახსნაო და გულში ერთი გრძნობა—სიცოცხლის სიყვარული.“ სწორი ბძანებაა; რაც უფრო გმირია კაცი, მით უფრო უყვარს მას ქვეყანა და სიცოცხლე! ხშირათ გმირული გული იწვის-იდაგვის ცხოვრების შემხედვარე, ხშირათ ისმის იმისგან მწარე, გულ-გამხეთქი გაკიცხვა, შეუბრალებელი კრულვა ამ წუთი-სოფლის, ხშირათ გადმოზდის მდუღარე, მწვავი ცრემლი, მაგრამ დიდათ შემცდარი იქნება ის და ცუდი გულთ-მისანი, ვინც იფიქრებს, რომ იმას სძულს, ეზიზღება წუთი-სოფელი და სიცოცხლეო, ან და, თუ უყვარს, ვერ არი გმირიო და ვერ შესწირავს ყოველს წამს საყვარელ სოფელს თავსაო. თქვენ ამბობთ, რომ, როცა ყეენის ბძანება მოუვიდა, მეფემ თვითონ ვერაფერი ვერ გაარიგაო, სხვას ეკითხებოდა, თითქო აქ გმირისთვის ფიქრი და არჩევანი შეიძლებოდეს, თითქო არ იყოს ცხადიო, რომ თავი უნდა შესწიროს. თუ მოიხმობს ყრილობას ისევე ნების გამოსაცხადებლათ და არა რჩევისთვის (კეთილი და პატიოსანი!) მაგრამაო მეფე უფრო რჩევას ემორჩილება, ვიდრე თავის წადილსაო.

ამაზე მიბოძეთ ნება მოგახსენოთ რომ თქვენ სრულიად ვერ გიცვნიათ და დაამახინჯეთ პოეტისაგან გამოხატული დიმიტრი. დიმიტრი არ იყო ერთი იმ დესპოტთაგანი რომელსაც შეეყარა კრება ოღონდ თავის ნების გამოსაცხადებლათ იმის დაუკითხავათ, თუ რა აზრისანი არიან დიდებულნი და მღვდელ-მთავარნი. ის იხმობს წარჩინებულ დიდკაცობას, უხსნის გარემოებას და ეკითხება რჩევას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის დაემორჩილება რჩევას. დასტურიც, გარდა მღვდელ-მთავარისა, ყველა ევედრება დარჩენას, სირცხვილის ჭამათ მიაჩნია მეფის გაცემა და თუმცა გრძნობს, რომ ვერას გავა, მზათაა შეაკვდეს გმირულათ მამულის მტერს. მეფე ცხადათ, გარკვევით ალიარებს თავის აზრს, და ყრილობაც დაღონებით ემორჩილება. რა არი აქ გაუგებარი, რაშია ხასიათის სისუსტე, მხდალობა, გაუბედაობა?! პირიქით, კრებას რო დამორჩილებოდა, უნდა დარჩენილიყო, და ან სადაურია, საქართველოს მეფე კრებას ემორჩილებაო?! „ერთს აზრს დაუპყრია მისი გონება—საქართველოს სიკეთე და მეფე ვერ მიმხვდარა, რომ ის მაინც მამულს ვერას უშველის თავის შეწირვით, რადგანაც მეფის დაღუპვა და სამეფოისა ერთია; ხალხი თავის მეფის გამცემი თავის უძლურებას აჩენს და მას იგივე დღე მოელის, რაც ბატონს გადახდაო,“ ამბობთ თქვენ. მიკვირს და გამკვირებია რათ ბძანებთ ამას, ბატონო! აქ რამდენიც აზრია, იმდენი შეცდომა. საქმეც იმაშია, რომ გარემოებისა და ვილაც ხეპრე დესპოტის კაპრიზის წყალობით ორში ერთი უნდა მომხვდარიყო: ან მეფეს შეეწირა თავი, ან ქვეყანას ადენოდა ნაცარ-ტუტა: ვინ მოგახსენათ, რომ მეფის დაღუპვა და სამეფოისა ერთიაო? ისტორიაში ძრიელ ხშირათ სულ წინაღმდეგი ხდება ხოლმე. გადაშალეთ ისტორიის პირველი ფურცლები მოიგონეთ საბერძნეთის ძველი ისტორიიდან მეფე კოდრის თავ-გაწირვა და დამეთანხმეთ, რომ თქვენი აზრი ვერც საზოგადოთ და ვერც რჩეული პოემისთვის განსაკუთრებით ვერ აუვა კრიტიკას. რომ „ხაალხი თავის ბატონის გამცემი თავის უძლურობას აჩენს,“ ამაში ყველა დაგეთანხმებათ და იმის კი რომ „მას იგივე დღე მოელისო, რაც ბატონს გადახდაო,“ რა მოგახსენოთ!

ზ. უმწიფარიძე

(დასასრული შემდეგ №-ში)

ღვევა არისო და საბერძნეთი მზათ არი ყველა შემთხვევაში თავის უფლება დაიცვასო და იმედი აქვს რომ ევროპის სახელმწიფონიც არ დაუთმობენ ოსმალეთს ბერლინის კონგრესის წესების დარღვევასაო. გაზეთებში იწერებიან რომ ოსმალეთიც თავისის მხრით დიდს მომზადებაშია ომიანობისათვის და ჯარს აგროვებს საბერძნეთის მახლობლათ.

### ალზას-ლატარინგია.

ალზასის და ლატარინგიის ერობის კამიტეტმა გაგზავნა ბერლინში შემდეგი წინადადება: „ერობის კამიტეტსა ჰსურს რომ ალზასს და ლატარინგიას მიენიჭოს თავისი (კერძო) კონსტიტუცია (სახელმწიფო წყობა) როგორც მოკავშირე სახელმწიფოს, თავისის მართებლობით ქალაქს სტასბურგში და რომ უფლება მიეცესთ თავისი წარმომადგენლნი გაგზავნონ გერმანიის საკავშირო რჩევაში.

---

# სამართალი

(„დროების“ კორრესპონდენტისაგან)

## ურიების საქმე

### ქუთაისის ოლქის სასამართლოში

სხდომა 5 მარტს, საღამოს

(გაგრძელება)

მოწმები შვიდ დასათ არიან გაყოფილნი; თითოეულმა დასმა ამ საქმის თითოეულ გარემოებაზე უნდა აჩვენოს. თითქმის ყველა საჩხერელი ურიები (30-ზე მეტი) მოწმების რიცხვში არიან,—ესენი გამოუხმიათ ბრალდებულებს; ურევიან ურიის ქალებიც, სამი თუ ოთხი ცოლი იყო ბრალდებულებისა, მაგრამ ყველამ უარი სთქვა ჩვენების მიცემაზედ და კანონმაც გაანთავისუფლა ისინი.

პირველი დასის მოწმეებმა უნდა ახსნან ის გარემოება—თუ როგორ დაიკარგა სარრა მოდებაძის ქალი.

ჩვენ შემოკლებით მოვიყვანთ აქ მოწმეების ჩვენებას, მოვიყვანთ იმათ ნათქვამის საზოგადო აზრს და არა სიტყვა-სიტყვით.

ი ო ს ე ბ  მ ო დ ე ბ ა ძ ე—მამა დაკარგულის სარრასი—ყველაზე პირველად გამოიხმეს; ამან აჩვენა შემდეგი:

„სამშაბათი დღე გახლდათ. ჩემი ქალები მაია და სარრა პავლე ცხადაძისას გიახლათ კალის დასაწვავათ. სამხრობისას უფროსი გოგო (ქალი) მაია დაბრუნდა შინ და იკითხა: სარრა ხომ არ მოსულაო? ჩვენ უთხარით, არა არ მოსულა.. იმ წამსვე წაველი საძებნელად. იმ ღამეს დიდ ხანს შუაღამემდინ ვეძებდით მე და იასაული, ყველა მეზობლებს ვკითხეთ—ბოვში ხომ არ გინახავთ-მეთქი, მაგრამ ვერსად ვნახეთ. მეორე დღეს მამასახლისმა გამოუცხადა სოფელს ეს ამბავი და უბრძანა, წადით, ყველგან მოძებნეთ ბოვშიო. შუადღემდინ მეც ამ ხალხთან ვეძებდი; მაგრამ როცა გავიგე, რომ წინა დღეს ურიებს გამოევლოთ ჩვენს სოფელში, ვიფიქრე, ალბათ იმათ წაიყვანეს ბოვში, ურიებს ქრისტიანის სისხლი ეჭირებათო, გამიგონია, სურამშიაც მომხდარა ამისთანა ამბავიო, და ამის გამო მივატოვე ძებნა და საჩხერეში წაველი პრისტავის გამოსაცხადებლად. მესამე დღეს, ხუთშაბათს, სამხრობისას ბოვშვი მკვდარი ენახა სოფლის ბიჭებს დარბაიძეების ღობესთან. პირველად დიმიტრი წერეთელმა მითხრა, რომ იმ დღეს ურიები ვნახეო, ცხენოსანი და ქვეითი იდგნენ საძალლისხევის შარა გზაზე და ამათგან ბოვშვის ხმა შემომესმაო. სარრა სრულებით ავათმყოფი ბოვშვი არ ყოფილა, მხოლოთ ცოტათი ფეხზე იყო სუსტი, კოჭლობდა.

ქ ე კ ე ლ ა  მ ო დ ე ბ ა ძ ე (დედა სარრასი). სამშაბათს ნასადილევს მაია და სარრა პავლია ცხადაძისას წავიდნენ, ტურფასთან კალის დასაწვავათ. სამხრობის დრო იქნებოდა, ჩემი უფროსი ქალი მაია დაბრუნდა მარტო და მკითხა, სარრა ხომ არ მოსულაო, ცხადაძიდგან გამოიპარაო. იმ წამსვე ჩემი კაცი (ქმარი) და იასაული წავიდენ საძებნელად, ვერ ნახეს; მეორე დღეს მამასახლისის ბრძანებით მთელი სოფელი ეძებდა; მაგრამ ვერც იმ დღეს ნახეს; მესამე დღეს საღამოს ენახათ დარბაიძეების მინდორში და მოიყვანეს. ბოვში რომ მოიყვანეს, ვნახე, რომ ცერსა და საჩვენებელ თითს შუა რბილი ხორცი ამოჭრილი ჰქონდა; ფეხის კუნთებიც, მუხლის სახსარს ქვევით დაჭრილი ჰქონდა. თვითონ მიცვალებულს კი ისეთი რბილი გვამი ჰქონდა, როგორც ბამბა, ჩვარივით იყო. იმ საღამოს ცოტა ნისლი წამოვიდა; ხან წამოვიდოდა, ხან ქარი ისევ გადადენიდა. ღამეც იწვიმა, მაგრამ პატარა წვიმა იყო, ღვავი იყო. სარრა ჩუმათ წავიდა ცხადადისას, ჩემთვის არა უკითხავს-რა.

თ ი ნ ი ა  მ ო დ ე ბ ა ძ ე (დიდი-დედა სარრასი). ბოვში რომ მოასვენეს, მე გავბანე. მართალია, ხელის თითებში რბილი ხორცი ამოგლეჯილი ჰქონდა. კუნთებზე კი არ შემინიშნავს გაჭრილი, ეს ქეკელამ მითხრა. ხორცი ჩვარივით ჰქონდა. ხელებზე ტალახი არ შემინიშნავს, ისე სუფთა ჰქონდა, როგორც მე მაქვს. გამიგონია, რომ ურიები ქრისტიანის ბავშვს აწვალებენ, მაგრამ რა ნაირად აწვალებენ, კი არ ვიცი, ჭორად გამიგონია სოფელში; ურიების მზარეულად არ ვყოფილვარ, რომ ყველაფერი ვიცოდე. თავსმჯდომარე ჰკითხავს: რა ფერი იყო მიცვალებულის ხორციო?— ჩემმა მტერმა სთქვა, რა ფერი იქნებოდა, ჩვენში მკვდარი კაცი თეთრია და თქვენში თუ წითელია, ის კი არ ვიცი. (სარრას ტანისამოსს რომ უჩვენებენ, გულს ხელს მიირტყავს, ტირილს დაიწყებს და იტყვის) ვაი, შვილო, ეს იმისია, როგორ არ მახსოვს! ეს პერანგი და კაბა მთელი იყო, მიცვალებული რომ მოიყვანეს, მაშინ კი შემოხეული იყო, მე გავბანე საწყალი...

ტ უ რ ფ ა  ც ხ ა დ ა ძ ი ს ა. უმარილს ვწვავდით ტყეში. ქალები წავიდნენ იქვე ფიჩხის მოსატანათ. ამ დროს ურიებმა ჩამოიარეს; ჯერ ოთხმა ურიამ ჩამოიარა და მერე სამმა, ყველა ცხენით იყვნენ. მე დაუძახე ურიებს, რომ მოიცადეთ, ბოვშების საკაბე უნდა ვიყიდო-მეთქი; მაგრამ არ გვცალიანო და გაუჩქარეს. პირველმა ოთხმა ურიამ რომ ჩაიარა, სარრა ჩემთან იყო; მეორე ურიებმა რო ჩაიარეს, მაშინ კი სარრა აღარსად ჩნდა, გაპარულიყო. ელისაბედა და მაია რომ დაბრუნდნენ, ვკითხე: სარრა სად არის-მეთქი. სარრა ჩვენთან არ წამოსულა, აქ დავტოვეთო. მე მეგონა სარრაც იმათთან იყო შეშის მოსატანათ. ვნახე რომ მეორე წყება ურიების ჩამოვლამდინ, სარრა მიბუტჭყალობდა შარა გზის ზევით გზა-ვიწროზე. მე არ მითქვამს სარრასათვის, ურიებს რომ ჩაუვარდე ხელში, კაი კაბას მოგცემენ-მეთქი. მე უთხარი მხოლოთ, აქ იყავი, არსად დაიკარგო-მეთქი. „ქალამი თუ გადააბრუნა“ ვინმემ, თორემ მაგას რავა ვიტყოდი! თხა მეორე წყება ურიებს ჰყავდათ ხურჯინში. მაგრამ აქ რომ ხურჯინია, ის ორი ამდენი ხურჯინი იყო, მეც ჩავეტეოდი იმაში. ურიების მეტს იმ დროს საძალლი-ხევის გზაზე არავის გაუვლია. მაია წავიდა შინ, დედას ვსთხოვო, რომ ამაღამ შენთან დარჩენის ნება მომცესო, უმარილის გამოწვა გავათავოთო. იმ საღამოს ხანდისხან ნისლი დააწვებოდა ჩვენ სოფელს, წვიმა არ ყოფილა, მეორე დღეს კი „პატიოსანი მზე“ გამოვიდა. ურიები ძალიან ჩქარა მიდიოდნენ. ქლდე ადგილებია, ბოვში კოჭლი იყო და ამიტომ მეშინოდა, რომ არსად ჩამტვრეულიყო. ხელების თითებიდამ ხორცი სწორათ ამოჭრილი ჰქონდა ბავშვს, ფეხის კუნთები გაჭრილი, და ამას გარდა თვითონ ფეხის ზემო პირი დაჩხვლეტილიც ჰქონდა მგონია დანით... ურიებს თხა მიჰყავდათ, ბატები და ქათმებიც. (ეს ჩვენება სრულიად არ ეთანხმება ამ მოწმის წინანდელ ჩვენებას და ამიტომ პროკურორი ამბობს, რომ ალბათ მოხუცებლობის გამო დაავიწყდა და აურიაო).

ე ლ ი ს ა ბ ე დ  ც ხ ა დ ა ძ ი ს  ქ ა ლ ი. ბოვში ჩვენსა იყო. შეშაზე წავედით მე და მაია. სარრა კი შინ დავტოვეთ დედასთან; რომ დავბრუნდით, ბოვში აღარ იყო. მაია წავიდა შინ დედ-მამის შესატყობინებლად. ურიები ვნახე, ჯერ ოთხმა ცხენოსანმა გამოიარა და მერე სამმა. მაიას არ შეშინებია, როცა სარრა შინ არ დაუხვდა, რადგან სარრა ხშირად წასულა შინ ამ დროს. თხა, წინ, რო გაიარეს, იმ ოთხ ურიას ჰყავდათ. მე არ გამიგონია, დაუძახა ურიებს დედა-ჩემმა მოიცადეთო, თუ არა. ურიები ჩქარა მიდიოდნენ.

---


# განცხადებანი

## „ჰაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

კვირას, 11 მარტს უწინდელ მუზიკის საზოგადოების ზალაში, იარმუკაზე, ქართული სცენის მოყვარეთაგან სამადლო საქმისათვის წარმოსდგება.

## „კიდევ ერთი მსხვერპლი“

კომედია ხუთ მოქმედებად, თხზ. გაბ. სუნდუკიანცისა

## „ცოლი თუ გინდათ ეს არის!“

ვოდევილი ერთ მოქმედებად ვას. აბაშიძისა

ანტრაქტებში დაუკრავს ჩეხის მუზიკა

ბილეთები ისყიდება კასსირთან რომინოვის ფოტოგრაფიაში, სასახლის ქუჩაზე, და წარმოდგენის დღეს თვით ზალაში საღამოს 6 საათიდგან. (3—2)

---

ნარდათი და წვრიმანი ვაჭრობა თამბაქოისა და პაპიროზებისა

**„სულთანის“** ფირმისა (უფ. ნ. მამიკონოვისა) არის შუა-ბაზარში ქურქჩიხანაში. ვინც ნარდათ დიდძალ საქონელს ჰყიდულობს, იმათ თამბაქო და პაპიროზები დადებულ ფასზე ნაკლებათ დაეთმობათ. (3—3)

---

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

---

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. პ. მესხის მაღზიაში ისყიდება

## „კაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გრიბოედოვისა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

---

თფილისში უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში ისყიდება:

## ალმანახი

შედგენილი

გ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, მული და მაშენიკები„—თფილისში: გრიქუროვის, მართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: გიორგი ბარათოვთან, გორში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო ღიასამესწრისნ მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: პ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. გოკიელიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

---

დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს

## ქალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული მ. ქ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: პ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჯარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

---

გამოვიდა და ისყიდება

## „გუტიაოგა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, მართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. პ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

---

სომხეთ ნერსესის სემინარიის პოპეჩიტლების სოვეტში, მომავალს მარტის 14 საღამოს, 7 საათზედ, არის დანიშნული ტორგი უპერეტორშკოთ იჯარით მისაცემათ, თელეთის წმინდის გიორგის ეზოში, ერთი დუქნისა თავისის ერთის ოთახით.

მსურველს ალებისა იმ დუქნისა შეუძლიან წაკითხვა პირობისა (кондиція) იმავე სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე კვირისა და უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდგან ვიდრე 12 საათამდისინ.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოსტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 9 მარტს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 30 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 10 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 40 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გავენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 20 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 50 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 45 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ველრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 45 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 70 |
| თამბაქო, ხაშულო ფთ. | 6 | 80 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარ. ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ქქიმი და სპშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Марта 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.